

ნანა შარიქაძე, მუსიკისმცოდნე, PhD, თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, მუსიკის ისტორიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი.

ნ.შარიქაძემ დაამთავრა თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია 1995 წ (პროფ. მ.ქავთარაძის კლასი) და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია 1999წ.

ნ.შარიქაძე 1999 წლიდან ასწავლის კონსერვატორიაში მუსიკის ისტორიის სხვადასხვა დისციპლინას მსოფლიო მუსიკის ისტორია, საბჭოთა მუსიკის ისტორია, XX საუკუნის მუსიკის ისტორია, XX საუკუნის მუსიკალური თეატრი და სხვა; ავტორია 40-ზე მეტი სამეცნიერო სტატიის, რომლებიც გამოქვეყნებულია როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ; მისი სამეცნიერო კვლევისა და სწავლების სფეროა მე-20 საუკუნის მუსიკალური ავანგარდი და მუსიკის თეატრი, ტოტალიტარული რეჟიმები და მუსიკა. მონაწილეობს ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში. ნაშრომები ბეჭდება ისეთ გამოცემებში, როგორცაა “მუსიკოლოგია და კულტუროლოგია”, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიულეტენი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ბიულეტენი, ლიეტუვის უსიკოლოგია და სხვ .

ნ.შარიქაძის კვლევითი აქტივობა განხორციელდა DAAD-ის (2012), პოლონეთის კულტურის ინსტიტუტის სამეცნიერო გრანტის „სასწავლო ვიზიტი ხელოვნების ინსტიტუტში“ (2019) მიერ, Thesaurus Poloniae (2023, fellowship programme of the Ministry of Culture National Heritage and Sport of the Republic of Poland. The programme is implemented by the International Cultural Centre in Krakow)

სხვადასხვა დროს მიწვეული იყო საჯარო ლექციებით პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ინსტიტუტში ვარშავაში, ქ.პენდერეცკის სახელობის კრაკოვის მუსიკის აკადემიაში (2023); 2000 წლიდან მოყოლებული ნ.შარიქაძე იყო საქართველოს პრეზიდენტის, DAAD-ის და პოლონეთის კულტურის ინსტიტუტის და Thesaurus Poloniae (2023) სტიპენდიანი. გავლილი აქვს სტაჟირება ბერლინის UDK (DAAD-ის დაფინანსებით); არის საქართველოს კომპოზიტორთა და მუსიკისმცოდნეთა ეროვნული კავშირის წევრი.

2005 წლიდან ჩართულია უმაღლესი განათლების ადმინისტრირებაში: იყო კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი (2019),

Creative Georgia შესარჩევი საკონკურსო კომისიის წევრი (2017-2019), საერთაშორისო განათლების ცენტრის შესარჩევი საკონკურსო კომისიის წევრი ხელოვნების აკადემიურ პროგრამებში (2017-დან დღემდე), საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრი - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ((2017-2018), ევროპულ კონსერვატორიათა ასოციაციის (AEC) საერთაშორისო ურთიერთობათა სამუშაო ჯგუფის წევრი (2017), ვ.სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახ. კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს წევრი (2015-2018), 2019 წლიდან კონსერვატორიის რექტორი. 2006 წლიდან აქტიურად არის ჩართული უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესში, მონაწილეობს განათლების ინტერნაციონალიზაციისადმი მიძღვნილ საერთაშორისო

კონფერენციებში/სემინარებში/ვორქშოფებში (თბილისი, ნორვეგია, შვედეთი, ბელგია, საბერძნეთი, პოლონეთიდასხვ).

2012 წლიდან არის მიწვეული სპიკერი უმაღლეს განათლებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო კონფერენციებში/სემინარებზე/ფორუმებზე: ევროპულ კონსერვატოპრიათა ასოციაციის ეგიდით ჩატარებულ ყოველწლიურ შეხვედრებზე (ანტვერპენი, კორფუ, კრაკოვი, ბრიუსელი), ნორვეგიის საერთაშორისო განათლების ცენტრის მიერ ჩატარებულ სემინარებზე (ბერგენი, სტავანგერი, სტამბული, ოსლო) და სხვა.

2009 წლიდან არის უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროში სხვადასხვა საერთაშორისო პროექტის კოორდინატორი და თანაავტორი, მათ შორის ინსტიტუციური განვითარების და ერთობლივი შემოქმედებითი-საკონცერტო პროექტები;

უნდა აღინიშნოს ნორვეგიის საერთაშორისო განათლების მიერ დაფინანსებული პროექტები (DIKU 2011-205, 2016-2019), Linneaus –Palme(2012, შვედეთი), Erasmus CBHE (2019-2020). ნანა შარიქაძის აქტივობების სფერო: XX საუკუნე და უახლესი მუსიკის კვლევა; უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია, სწავლება/სწავლის ინტეგრირება, უსდ ავტორიზაცია. პოლონესა და საქართველოს შორის კულტურული და საგანმანათლებლო ურთიერთობებში შეტანილი წვლილისათვის დაჯილდოებულია Gloria Artis (Zasłużony Kulturze - Gloria Artis, პოლონეთის კულტურის სამინისტრო) ვერცხლის მედლით.

ნ.შარიქაძე საუბრობს ინგლისურად, რუსულად; გერმანული და იტალიური აკადემიური მიზნებისთვის